სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №184/01–01** საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ბ") გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2020 წლის 12 ოქტომბრის №101/2020** დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 3
(შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **13 ნოემბერი, 2020 წ. 14:00**

2020 წლის 13 ნოემბერს 14 საათზე ჩატარდა საკონკურსო კომისიის სხდომა. სხდომა ჩატარდა თსუ XI კორპუსში, 335 კაბინეტში.

სხდომას კომისიის ხუთი წევრიდან ესწრებოდა ხუთივე: 1. პროფესორი ელიზბარ ნადარაია (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ახობაძე; 4. ასოცირებული პროფესორი ოთარ ჯოხაძე; 5. ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №184/01–01** საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ბ") გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა და კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.

1. მოისმინეს: ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე კანდიდატის - **ბაბილუა პეტრე კუკურის ძე,** შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ელიზბარ ნადარაიამ. მან მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტ პეტრე ბაბილუას განათლება, სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორია: ამ კატეგორიაში - გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, პროფილით მუშაობის სტაჟი, გაწეული სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული/წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილს შეესაბამება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ ფორმატსა და მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორია: ამ კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. პ.ბაბილუას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში - 17, ხოლო სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში - 30. ციტირების ინდექსია 78, h-ინდექსი - 5, g-ინდექსი - 7. მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე – 17, ადგილობრივზე - 9. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სამეცნიერო მუშაობის კონცეფციაში მიმოხილულია მის ვაკანსიის პროფილით მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა, მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, დასახულია სამომავლო პერსპექტივა.

შეფასების IV კატეგორია: კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ პ.ბაბილუას მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და იგი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად კომისიის თავმჯდომარემ ჩაატარა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთივე წევრმა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: ა) თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ბ") გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პეტრე ბაბილუა;

ბ) შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი ელიზბარ ნადარაია

კომისიის წევრები:

1. პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
2. ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ახობაძე
3. ასოცირებული პროფესორი ოთარ ჯოხაძე
4. ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი (კომისიის მდივანი)